

ძალაშია 1998 წლის 24 ივლისიდან

## შეთანხმება

### საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ

საქართველოს მთავრობა და რუმინეთის მთავრობა, შემდგომში „ხელშემკვრელ მხარეებად“ წოდებულნი,

სურთ რა, ორი სახელმწიფოს ურთიერთსარგებლიანი ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურება,

აპირებენ რა, ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით შექმნან და შეინარჩუნონ ხელსაყრელი პირობები,

აცნობიერებენ რა, უცხოური ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის საჭიროებას ორივე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

#### მუხლი 1 განმარტებანი

ამ შეთანხმების მიზნებისათვის:

1) ტერმინი „ინვესტორი“, ორივე ხელშემკვრელ მხარესთან მიმართებით, ნიშნავს:

(a) ფიზიკურ პირს, რომელიც ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად ითვლება მის მოქალაქედ;

(b) იურიდიულ პირს, კომპანიების, კორპორაციების, ბიზნეს-გაერთიანებების ჩათვლით, და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებულნი ან სხვაგვარად ორგანიზებულნი არიან ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად და გააჩნიათ ოფისი და ეწევიან რეალურ ეკონომიკურ საქმიანობას იმავე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

2) ტერმინი „ინვესტიცია“ ნიშნავს ნებისმიერი სახის ქონებას დაბანდებულს ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მისი კანონებისა და წესების შესაბამისად და მოიცავს (მაგრამ ამით არ

შემოიფარგლება):

a) მოძრავ და უძრავ ქონებას, ისევე როგორც სხვა რომელიმე ქონებრივ უფლებას „in rem“, როგორცაა სერვიტუდი, იპოთეკა, თავდება, თამასუქი;

b) აქციებს, წილობრივ კაპიტალს ან კომპანიაში მონაწილეობის ნებისმიერ სხვა ფორმას;

c) მოთხოვნის უფლებას თანხაზე ან ეკონომიკური ღირებულების მქონე ნებისმიერ საქმიანობაზე;

d) ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, საავტორო უფლებებს, პატენტებს, საავტორო და სამომსახურო ნიშნებს, საავტორო სახელებს, ნოუ-ჰაუს და გუდვილს, აგრეთვე ხელშემკვრელი მხარეების კანონმდებლობით აღიარებულ მსგავს სხვა უფლებებს;

e) კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონცესიებს, ბუნებრივი რესურსების ძიების, ამოღების ან ექსპლუატაციისათვის კონცესიების ჩათვლით, აგრეთვე აღნიშნული სამართლის შესაბამისად კანონმდებლობის, კონტრაქტის ან სხვა გადაწყვეტილების მიხედვით ხელისუფლების მიერ გაცემულ სხვა უფლებებს.

ქონების ინვესტირების ან რეინვესტირების ფლობის ნებისმიერი ცვლილება არ გულისხმობს ინვესტიციის არსის ცვლილებას.

(3) გერმინი „შემოსავალი“ ნიშნავს ინვესტიციებიდან მიღებულ თანხებს და კერძოდ, მოიცავს (მაგრამ არამხოლოდ) მოგებას, დივიდენდებს, პროცენტებს, კაპიტალის ამონაგებს, როიალთის, მართვისთვის და ტექნიკური დახმარებისათვის ან სხვა სახის ჰონორარებს, შემოსავლის ანაზღაურების ფორმის მიუხედავად.

(4) გერმინი „გერიგორია“ ნიშნავს თითოეული ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფო საბღვრებს, გერიგორიალური წყლების და ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონებს, რომლებზეც შესაბამისი სახელმწიფო, შიდა და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ახორციელებს სუვერენიტეტს, სუვერენულ უფლებებს ან იურისდიქციას.

## მუხლი 2 წახალისება, მიღება

(1) ორივე ხელშემკვრელი მხარე შეძლებისდაგვარად ხელს შეუწყობს მის გერიგორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტირებაზე მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს და დაუშვებს ასეთი ინვესტიციების მიღებას მისი კანონებისა და წესების შესაბამისად.

(2) თუ ხელშემკვრელი მხარე მიიღებს მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს, იგი, მისი წესებისა და კანონების შესაბამისად, ამგვარ ინვესტიციებთან მიმართებით გასცემს საჭირო ნებართვებს, უმაღლესი მმართველი და ტექნიკური პერსონალის მათი არჩევნის შესაბამისად, და მოქალაქეობის მიუხედავად, დასაქმებაზე უფლებამოსილების ჩათვლით.

### **მუხლი 3 დაცვა, მოპყრობა**

(1) თითოეული ხელშემკვრელი მხარე, მისი კანონებისა და წესების შესაბამისად, დაიცავს მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ განხორციელებული ინვესტიციებს და დაუსაბუთებელი ან დისკრიმინაციული ღონისძიებებით ზიანს არ მიაყენებს ამგვარი ინვესტიციების მართვას, მომსახურებას, გამოყენებას, სარგებლობას, გაფართოებას, გაყიდვას ან ლიკვიდაციას. კერძოდ, ორივე ხელშემკვრელი მხარე ან მისი კომპეტენტური ხელისუფლება გასცემს მე -2 მუხლის (2) პუნქტში აღნიშნულ საჭირო უფლებამოსილებებს.

(2) ორივე ხელშემკვრელი მხარე, მისი ტერიტორიის ფარგლებში, მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციებს უზრუნველყოფს თანაბარი და სამართლიანი რეჟიმით. აღნიშნული რეჟიმი არ იქნება ნაკლებად ხელსაყრელი ვიდრე თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ მის ტერიტორიაზე მისი საკუთარი ინვესტორების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მიმართ მინიჭებული რეჟიმი, ან რეჟიმი, რომელიც ორივე ხელშემკვრელმა მხარემ მიანიჭა მათ ტერიტორიაზე ნებისმიერი მესამე ქვეყნის ინვესტორთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს, თუ ასეთი რეჟიმი უფრო ხელსაყრელია.

(3) უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ განიხილება, როგორც სავალდებულო ერთი ხელშემკვრელი მხარისათვის მიანიჭოს მეორე ხელშემკვრელ მხარე ინვესტორებს და ინვესტიციებს უპირატესობები, რომელიც წარმოიშვება არსებული ან მომავალში არსებული საბაჟო ან ეკონომიკურ ზონაში, თავისუფალი ვაჭრობის ზონაში ან რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციაში ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ახლანდელი ან მომავალი მონაწილეობის საფუძველზე. აღნიშნული რეჟიმი არ შეხება, აგრეთვე, იმ უპირატესობებს, რომლებსაც ორივე ხელშემკვრელი მხარე ანიჭებს მესამე სახელმწიფოს ინვესტორებს ორმაგი დაბეგვრის შეთანხმების ან დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებული სხვა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

### **მუხლი 4 თავისუფალი გრანსფერი**

(1) ერთი ხელშემკვრელი მხარე, რომლის ტერიტორიაზეც მეორე ხელშემკვრელი

მხარის ინვესტორთა მიერ განხორციელდა ინვესტიციები, ამ ინვესტორებს, მათ მიერ ყველა სახის ფინანსური და სხვა მსგავსი ვალდებულებების ანაზღაურების შემდეგ, მიანიჭებს ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადახდების თავისუფალ გრანსფერს. კერძოდ ეს შეეხება შემდეგი სახის გადახდებს:

(a) ამ შეთანხმების 1 მუხლის (3) პუნქტში მოცემული შემოსავლებს;

(b) ინვესტიციების მიზნით აღებულ სესხებთან, ან სხვა სახის საკონტრაქტო ვალდებულებებთან, დაკავშირებულ თანხებს; და

(c) ინვესტიციების მთლიანად ან მისი ნაწილის გაყიდვის, გასხვისების ან ლიკვიდაციის შედეგად ამოღებულ თანხებს.

(2) წინააღმდეგობა მუხლის პირველი (1) პუნქტის დებულებების მიუხედავად თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს განსაკუთრებული ფინანსური და ეკონომიკური გარემოებების არსებობის შემთხვევაში შეუძლია დააკისროს მგავსი სავალუტო შეზღუდვები მისი კანონებისა და წესების შესაბამისად (და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების დებულებების თანახმად).

(3) თუ ინვესტორთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, გრანსფერი განხორციელდება გრანსფერის დღეს გადაცვლის არსებული შესაბამისი კურსის მიხედვით და იმ ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად, რომლის გერიგორიაზეც მოხდა ინვესტიცია.

## მუხლი 5

### კომპენსაცია ექსპროპრიაციისა და დანაკარგებისათვის

(1) არცერთი ხელშემკვრელი მხარე, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, არ განახორციელებს ექსპროპრიაციის, ნაციონალიზაციის ღონისძიებებს ან სხვა ნებისმიერ ღონისძიებას, რომელსაც გააჩნია იგივე ხასიათი ან იგივე სახის გავლენა (შემდგომი „ექსპროპრიაცია“) მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტიციებზე, გარდა იმ შემთხვევებისა და როდესაც აღნიშნული ღონისძიებები გარდება არადისკრიმინაციულ საფუძელზე სამოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის შესაბამისად და კანონით დადგენილი გზით და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პირობები შესრულდება ეფექტური და ადექვატური კომპენსაციის სანაცვლოდ. ასეთი კომპენსაცია გთლი იქნება ექსპროპრირებული ინვესტიციის რეალური ღირებულებისა, რომელიც მას გააჩნდა ექსპროპრიაციამდე ან მომავალი ექსპროპრიაციის გამოცხადებამდე, იმის მიხედვით თუ რომელი უფრო ადრე მოხდება. კომპენსაციის თანხა, პროცენტის ჩათვლით, გადაყვანილი იქნება კონვერტირებად ვალუტაში და დაინტერესებულ ინვესტორს აუნაზღაურდება დაუყოვნებლივ. შესაბამისი გადახდები იქნება თავისუფლად და სწრაფად გრანსფერირებადი.

(2) ერთი ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები, რომელთა ინვესტიციებიც განიცდიან დანაკარგს მეორე ხელშემკვრელი მხარის გერიგორიაზე ომის ან ნებისმიერი სხვა შეიარაღებული კონფლიქტის, რევოლუციის, საგანგებო მდგომარეობის ან აჯანყების გამო, ამ უკანასკნელის მხარის მხრიდან ისარგებლებენ

ამ შეთანხმების მე-3 მუხლის (2) პუნქტში აღნიშნული რეჟიმით.

## **მუხლი 6** **შეთანხმების წინა ინვესტიციები**

წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება, აგრეთვე ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ პირველი ხელშემკვრელი მხარის კანონებისა და წესების შესაბამისად ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე განხორციელებული ინვესტიციების მიმართ. თუმცა, ეს შეთანხმება არ გამოიყენება მისი ძალაში შესვლამდე წარმოქმნილი ღირებულების მიმართ.

## **მუხლი 7** **სხვა ვალდებულებები**

(1) თუ ორივე ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორების ინვესტიციებს ანიჭებს უფრო ხელსაყრელ რეჟიმს ვიდრე ამ შეთანხმებით არის გათვალისწინებული, მაშინ ამგვარი კანონმდებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი უფრო ხელსაყრელია, პრევალირებს აღნიშნულ შეთანხმებაზე,

(2) თითოეული ხელშემკვრელი მხარე შეასრულებს ნებისმიერ სხვა ვალდებულებას, რომელიც მას გააჩნია მის ტერიტორიაზე მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორთა მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

## **მუხლი 8** **სუბროგაციის პრინციპი**

იმ შემთხვევაში, თუ ერთმა ხელშემკვრელმა მხარემ ან მის მიერ დანიშნულმა სააგენტომ, მისი ერთ-ერთი ინვესტორის მიმართ განახორციელა გადახდა მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ინვესტიციების არაკომერციულ რისკთან მიმართებაში მის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ფინანსური გარანტიის საფუძველზე, მეორე ხელშემკვრელი მხარე, სუბროგაციის პრინციპის თანახმად, აღიარებს ინვესტორის ნებისმიერი უფლებების გადაცემას პირველად ხსენებული ხელშემკვრელი მხარისადმი ან მისი მიერ დანიშნული სააგენტოებისადმი. მეორე ხელშემკვრელი მხარე გაათავისუფლებს ინვესტორს გადასახადებისა და სხვა სამოგალოებრივი გადასახდელისაგან.

## **მუხლი 9** **ხელშემკვრელ მხარესა და მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის ღირებულების მოგვარება**

(1) ინვესტიციებთან დაკავშირებით ერთ ხელშემკვრელ მხარესა და მეორე

ხელშემკვრელი მხარის ინვესტორს შორის წარმოქმნილი დავის მოგვარების მიზნით, საქმის გადაწყვეტაში დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსულტაციები ჩატარდება, შეძლებისდაგვარად, მეგობრული გზით.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კონსულტაციების შედეგად ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება დავის მოგვარების შესახებ შეგუობინებიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინვესტორს შეუძლია თავისი არჩევნისა და მიხედვით წარუდგინოს დავა გადასაწყვეტად:

a) იმ ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ინვესტიცია;

b) საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრს (ICSID), რომელიც შექმნილია სახელმწიფოებსა და მეორე სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის საინვესტიციო დავების მოგვარების შესახებ 1965 წლის 18 მარტს ვაშინგტონში ხელმოსაწერად გახსნილი კონვენციის საფუძველზე; ან

c) „ad hoc“- ის საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც შეიქმნება საერთაშორისო სავაჭრო კანონის შესახებ გაერთიანებული ერების კომისიის (UNCITRAL) საარბიტრაჟო წესის შესაბამისად, თუ სხვა სახის შეთანხმება არ არის მიღწეული დავის მონაწილე მხარეებს შორის.

(3) ორივე ხელშემკვრელი მხარე თანახმაა, რომ საინვესტიციო დავა გადაეცეს საერთაშორისო კონსილიუმს ან არბიტრაჟს.

(4) ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არის დავის მონაწილე მხარე, საინვესტიციო დავის მოგვარების პროცედურების განმავლობაში ნებისმიერ დროს, თავის დაცვის მიზნით არ გამოიყენებს მის იმუნიტეტს ან ფაქტს, რომ ინვესტორმა, სადამღვევო კონტრაქტის საფუძველზე, მიიღო კომპენსაცია მის მიერ განცდილი ზარალის ან დანაკარგის მთლიანი ან ნაწილობრივი ანაზღაურების სახაცვლოდ.

## მუხლი 10

### ხელშემკვრელ მხარეებს შორის დავის მოგვარება

(1) ხელშემკვრელ მხარეებს შორის ამ შეთანხმების დებულებების ინტერპრეტაციასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავა მოგვარებულ უნდა იქნას დიპლომატიური არხების მეშვეობით.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ორივე ხელშემკვრელი მხარე ვერ მოაგვარებს მათ შორის არსებულ დავას მისი დაწყებიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ამგვარი დავა, ერთ-ერთი მონაწილე მხარის მოთხოვნით, გადაეცემა სამი წევრისაგან შემდგარ საარბიტრაჟო სასამართლოს. თითოეული ხელშემკვრელი მხარე დანიშნავს ერთ არბიტრს, და ამგვარად დანიშნული ორი არბიტრი აირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც

იქნება მესამე ქვეყნის მოქალაქე.

(3) თუ ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარე არ დანიშნავს მის არბიტრს და არ მიიღებს მეორე ხელშემკვერელი მხარის თხოვნას განახორციელოს მსგავსი დანიშვნები, ორი თვის განმავლობაში, არბიტრი დანიშნული იქნება ამ ხელშემკვერელი მხარის თხოვნით, საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტის მიერ.

(4) თუ ორივე არბიტრი, თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით, ვერ შეთანხმდა მათი დანიშნიდან ორი თვის განმავლობაში, თავმჯდომარე, ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის თხოვნის საფუძველზე, დანიშნება საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტის მიერ.

(5) თუ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში განსაზღვრულ შემთხვევებში, საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი ვერ შეასრულებს აღნიშნულ ფუნქციებს ან არის ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე, დანიშნავს განახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი და თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია დანიშვნის გაკეთება ან არის ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე, დანიშნავს განახორციელებს სასამართლოს რანგით მომდევნო მოსამართლე, რომელიც არ არის რომელიმე ხელშემკვერელი მხარის მოქალაქე.

(6) ხელშემკვერელ მხარეებს შორის სხვაგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გრიბუნალი განსაზღვრავს საკუთარ პროცედურებს.

(7) თითოეული ხელშემკვერელი მხარე გაიღებს მის მიერ დანიშნულ არბიტრთან და მის არბიტრაჟში წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თავმჯდომარესთან დაკავშირებულ და დარჩენილ სხვა ხარჯებს ხელშემკვერელი მხარეები გაიღებენ თანაბრად.

(8) არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და სავალდებულო თითოეული ხელშემკვერელი მხარისათვის.

## **მუხლი 11** **საბოლოო დებულებები**

(1) ეს შეთანხმება ძალაში შევა ხელშემკვერელი მხარეების მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის საჭირო მათი საკანონმდებლო პროცედურების დასრულების შესახებ ურთიერთშეწყობინების დღიდან ოცდაათი დღის შემდეგ. მისი ძალაში ყოფნის საწყისი პერიოდია ათი წელი. იმ შემთხვევაში, თუ დენონსაციის შესახებ ოფიციალური შეწყობინება არ იქნება გაგზავნილი მისი მოქმედების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, ეს შეთანხმება გააგრძელებს მოქმედებას, იგივე პირობების დაცვით, მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

(2) წინამდებარე შეთანხმების დენონსაციის შესახებ ოფიციალური შეტყობინების შემთხვევაში, 1-10 მუხლების დებულებები ძალაში დარჩება ოფიციალურ შეტყობინებამდე განხორციელებული ინვესტიციებისათვის, მომდევნო ათი წლის განმავლობაში.

რის დასტურადაც, ქვემოთ ხელისმომწერებმა, მათი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირებმა ხელი მოვაწერეთ ამ შეთანხმებას.

ხელმოწერილია ქ. ბუქარესტში, 1997 წლის 11 დეკემბერს, ორ ეგზემპლარად, ქართულ, რუმინულ და ინგლისურ ენებზე, თითოეულ ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. ინგერპრეგაციის დროს განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის  
სახელით

რუმინეთის მთავრობის  
სახელით